Nadareishvili, 2008: Nadareishvili K. Woman in Classical Athens and in Greek Tragedy. Tbilisi: Logos. 2008.

Roisman, 2004: Roisman H. M. Women's Free Speech in the Greek Tragedy. In Free Speech in Classical Antiquity. 91-113. Boston: Brill Publishing. 2004.

Saxonhouse, 2006: Asxonhouse A.W. Free Speech and Democracy in Ancient Athens. New York: Cambridge University Press. 2006.

Taaffe, 1993: Taffe L. K. Aristophanes and Women. London: Routledge. 1993.

Whitmarsh, 2006: "G Whitmarsh T. Greece is the World: Exile and Identity in the Second Sophistic. In Being Greek Under Rome, edited by Simon Goldhill, 269-306. New York: Cambridge University Press. 2006.

**ანტიკური ლიტერატურა**

## თავისუფლად მეტყველი ქალები პოლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში (არისტოფანეს კომედიების: „ლისისტრატე", „ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე", „ქალები სახალხო კრებაზე" მიხედვით)

**მარიამ ნემსაძე**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
mariam.nemsadze2@atsu.edu.ge

*სტატიაში განხილულია ქალების მიერ დემოკრატიულ ათენში სიმართლის თავისუფლად თქმის საკითხი (სიტყვის თავისუფლება), სადაც კომედია ერთგვარი „სიმართლის თქმის საშუალებაა", რომლითაც ხდებოდა სოციალურ-პოლიტიკური ყოფიერების ხაზგასმა და გამოვლინება. სიცილის მომგვრელი სიტყვები და კომიკური შინაარსი გამოიყენებოდა კონკრეტული პოლიტიკური მიზნების ადვოკატირებისათვის. არისტოფანე სრულყოფილად და სასაცილოდ ხატავდა რეალობას და ზოგჯერ მიმართავდა αἰσχρολογία - ს. კომედიებში „ლისისტრატე", „ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე", „ ქალები სახალხო კრებაზე" ქალები მოტივირებულნი არიან პოლისის პოლიტიკური ცხოვრება გახადონ უფრო მშვიდი და ადამიანის კეთილდღეობაზე ორიენტირებული. კომედიები, რომელთა ცენტრალურ ფიგურას ქალი წარმოადგენს, უკავშირებს ერთმანეთს ისეთ ორ ცნებას, როგორიცაა οἶκος და πόλις, აჩვენებს დემოკრატიისათვის ბრძოლას, გენდერულ თანასწორობას, ქალთა პირველ მასობრივი გაფიცვას და ა.შ. ქალებისათვის სიმართლის თავისუფლად თქმა საკმაოდ რთულია, მაგრამ მათ შესწევთ ანდროცენტრული სახელმწიფო მმართველობის მშვიდობიანად გადაგდების და გინოკრატიული*

*მმართველობის დამყარების უნარი. დიდხნიანი დუმილის დარღვევის პროცესი საკმაოდ მტკივნეულია და ემოციებით სავსე, განსაკუთრებით, ისეთ შემთხვევებში, სადაც ქალებს უპირისპირდებიან δείνωση (სიძულვილის ენით), ბრუტალურად აჩუმებენ და ემუქრებიან მათ ქალური პოლიტიკური „ოცნებების“ ჩახშობით. ათენური დემოკრატიის ფარგლებში (πολιτεία) ადამიანები ტკბებოდნენ δημοκρατία (დემოკრატიით), ἰσηγορία ( სიტყვის თავისუფლებით), ἰσονομία (მოქალაქეებისთვის ძალის აღსრულების თანაბარი უფლებით) და სიმართლის თავისუფლად თქმით. კომედიებში გამოყვანილი ათენელი ქალები აწყდებიან სირთულეებს მამაკაცებთან თავისუფლად საუბრისას, მათგან მოსალოდნელი დამცირების, საფრთხის გარეშე. ქალებისათვის პოლისის კეთილდღეობა ბევრად აღმატებულია, ვიდრე ისეთ ემოციებზე გამოდევნება, როგორებიცაა: შიში ან სიბრაზე.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ქალი, პოლიტიკა, პოლისი, პერჰესია.*

ბერძნულ-რომაულ სამყაროში ქალის მიმართ დამოკიდებულება ხშირ შემთხვევაში არაერთგვაროვანია. ანტიკურმა ეპოქამ გამოიარა ორი მიდგომა ქალებისადმი - მისოგენური და გენოცენტრული.

არისტოფანეს კომედიებში, გარკვეულწილად, ამ ამბივალენტური დამოკიდებულების დაბალანსება ხდება და მამრობითი მმართველობით პრეველირებული საზოგადოების ცენტრალურ ფიგურად ქალი გვევლინება. უფრო მეტიც, ისინი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარითაც არიან დაჯილდოებულნი.

არისტოფანეს კომედიები სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენს ქალთან დაკავშირებულ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს, ავლენს ოჯახსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთმიმართების პრინციპებს, ქალების ბრძოლას დემოკრატიისათვის, სტერეოტიპული და ძალადობრივი ფონით მოტივირებული სქესობრივი უთანასწორობის წინააღმდეგ, ქალების პირველ გაფიცვას და სხვა.

არისტოფანესეული სიმართლის თქმის პრინციპები ყოველთვის არ არის ექსპლიციტური. გადაწყვეტილების მიღების პროცესში კარგად ჩანს ქალური ბუნება, მისი სუსტი და ძლიერი მხარეები, ემოციები.

ქალთა როლის ამბივალენტურობა განსაკუთრებით თვალშისაცემია, თუ მათ განვიხილავთ პოლისის ცხოვრების პოლიტიკურ კონტრიბუტორებად. არისტოფანეს კომედიებში - „ლისისტრატე“, „ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე“, „ ქალები სახალხო კრებაზე“ - ქალები პოლისის პოლიტიკური ცხოვრების გაჰუმანურებაზე და მშვიდობის დამყარებაზე არიან ორიენტირებულნი.

სიტყვა "parrhesia"-სპირველი გაჟღერება კლასიკურ სამყაროში, უკავშირდება ბერძენი ტრაგიკოსის, ევრიპიდეს სახელს. ფოკალტის მიხედვით, ეს ტერმინი

6 ტრაგედიაში გვხვდება: *(1) ფინიკიელი ქალები; (2) იპოლიტა; (3) ბაკქი ქალები; (4) ელექტრა; (5) იონი; (6) ორესტესი.*

ეტიმოლოგიურად, "parrhesiazesthai" ნიშნავს " ყველაფრის თქმას“ -- " pan " [πάυ] (ყველაფერი) და " rhema " [δήμα] (ის რაც ითქმება), ის, ვინც იყენებს სიმართლის თქმის პრინციპს, ამბობს ყველაფერს გულღიად, სუფთა გულითა და გონებით (Foucault 1983).

“Parrhesia”- თავისუფალი მეტყველება (სიტყვის თავისუფლება), პირველად გამოყენებულ იქნა მე-5 საუკუნეში დემოკრატიის კონტექსტუალურ ჭრილში, როგორც დემოკრატიის შენების პროცესის ფუნდამენტური ასპექტი. „ფინიკიელ ქალებში“ იოკასტა ევრიპიდეს მეშვეობით აცხადებს რომ მონის ხვედრია თავისუფლად საუბრის უფლების არ ქონა (Eur. Phoen. 391-92).

საკმაოდ ირონიულია ის ფაქტი, რომ ევრიპიდე სიტყვის თავისუფლებაზე ალაპარაკებს მომავალ ტირანს და დედოფალს, პოლინიკესა და იოკასტას (Whitmarsh 2006, 278-279). პოლინიკე განიცდის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას. მისთვის ყველაზე საშინელი რამ უცხოობაში ცხოვრებისას არის თავისუფლად მეტყველების უფლების ჩამორთმევა.

არისტოფანეს კომედიაში „ლისისტრატე“ საუბარია პროტო-ფემინისტურ იდეალებზე. ქალები მიისწრაფვიან სიტყვის თავისუფლებისკენ, მათ კი უპირისპირდებიან სიძულვილის ენით (*δείνωση*), ბრუტალურად აიძულებენ გაჩუმდნენ და ძალადობით ემუქრებიან. არისტოფანე ამტკიცებს, რომ სიმართლის თქმის პრინციპი არ არის და არც უნდა იყოს სქესობრივად დიფერენცირებული.

ქალები მოითხოვენ ერთიანობას, სიმართლის თქმას ირჩევენ ქალაქის კეთილდღეობისთვის, მშვიდი და ჯანსაღი ურთიერთობებისთვის. მამაკაცების მსგავსად, მათ ძალიან დიდი წვლილი მიუძღვით საზოგადოების წინაშე.

იმ ფონზე, როდესაც ათენის საჯარო ცხოვრებიდან ხდება ქალების მარგინალიზაცია, მათთვის სიმართლის თქმა რჩება მხოლოდ ერთადერთ საშუალებად მშვიდობისა და გადარჩენისათვის. ქალები მოითხოვენ, რომ მამაკაცებმა სცნონ მათი მნიშვნელობა ათენის დემოკრატიულ ცხოვრებაში. ისინი არღვევენ სიჩუმეს მშვიდობის მოლოდინით. თუმცა, მათი მხრიდან მშვიდობის დამყარების პოლიტიკა საკმაოდ კომიკური გამომხატველობითი ფორმებითაა გამოხატული.

არისტოფანეს კომედიებში ქალები იბრძვიან, რათა მათ მიერ მართული ოჯახები და მამაკაცების მიერ მართული ქალაქები გააერთიანონ ერთი „ოცნების“ ქვეშ და ეს არის - მშვიდობა და თანასწორობა.

სიმართლის თქმას, თავისუფლად მეტყველებას, ქალების მხრიდან ყოველთვის მოჰყვება ემოციურობა. მათი გულწრფელი მეტყველება უკავშირდება უშიშარ მეტყველებას. პრობლემის

გადაჭრის გზების მოფიქრებისას ქალები ემოციურად განიხილავენ, წინასწარ გრძნობენ და განჭვრეტენ მოსალოდნელ საფრთხეებს. მათ ეშინიათ: ა. თავიანთი მეწყვილის ომში დაკარგვის; ბ. მარტოობის; გ. რომ ქმრებს აღარ მოეწონებათ მათი დაბერებული სახეები და ახალგაზრდებს მოიყვანენ ცოლად. შიშის გარდა, ისინი განიცდიან სიბრაზეს, წყენას... მათთვის რთულია მამაკაცების წინაშე თავისუფლად საუბარი საფრთხის მოლოდინის გარეშე, თუმცა სახელმწიფოს კეთილდღეობა მათთვის უფრო აღმატებულია, ვიდრე ემოციები, სიბრაზე, შიში ან სირცხვილი.